



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/2698
18/03/2024

2698-15-3-2-202403181025



საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ **[REDACTED]** სამედიცინო სერვისის დროულად
მიწოდებასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის **[REDACTED]** დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, **[REDACTED]** გაწეული სამედიცინო მომსახურების საკითხი. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ **[REDACTED]** ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამედიცინო სერვისების დროულად მიწოდებას საჭიროებს.

მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა

მსჯავრდებული **[REDACTED]** მიუთითებს, რომ აწუხებს ძლიერი, ინტენსიური ტკივილი თითქმის ყველა სახსარში, მოძრაობის შეზღუდვა, უჭირს გადაადგილება.¹ პაციენტი ჩართული იყო მეთადონის დეტოქსიკაციის პროგრამაში. მსჯავრდებულის განმარტებით, სახსრების ტკივილების გამო, სურს მეთადონის პროგრამის გაგრძელება.

¹ „რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ მიერ 12.04.2021წ. გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ N84; საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ 09.11.2023წ. შედგენილი ოქმი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის **[REDACTED]** დაწესებულების მიერ 16.11.2023წ. გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; შპს „ვიგამედის“ მიერ 15.12.2023წ. გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ N21249; **[REDACTED]** 2024 წლის 21 თებერვლის განცხადება N2574/24 სახალხო დამცველის სახელზე.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და სამედიცინო დოკუმენტაცია,² რაც შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატის ექიმმა, მედიცინის დოქტორმა, [REDACTED].

მიღებული ინფორმაციისა და სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი:

[REDACTED] ავადაა 2004 წლიდან, 2008 წლიდან ამბულატორიულად მკურნალობს რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია „რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ მიერ გაცემული რამდენიმე ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (12.04.2021 N84; 14.08.2020 N143; 16.06.2020 N88; 11.12.2018 N316; 30.08.2017; 24.08.2017 N151). 2021 წლის 12 აპრილით დათარიღებულ ცნობაში დაფიქსირებულია პაციენტი [REDACTED] დიაგნოზი: ფსორიაზი, ფსორიაზული ართრიტი (პოლიართრიტი, კოქსიტი), სტადია IV (მეოთხე), სპონდილოართრიტი, საკროილიტი, სტადია III (მესამე), სახსრების და ხერხემლის სვეტის დეფორმაციები ფუნქციის მნიშვნელოვანი მოშლით. ამავე ცნობაში აღნიშნულია, რომ „პაციენტი უჩვიის ტკივილს, მოძრაობის მკვეთრ შეზღუდვას, პრაქტიკულად ყველა სახსარში, განსაკუთრებით მენჯ-ბარძაყის, მუხლის, კოჭ-წვივის. პაციენტი ვერ გადაადგილდება დამხმარე-ჯოხის გარეშე ... ხშირ შემთხვევაში, პაციენტი ვერ დგება საწოლიდან, გამწვანებულია თვითმომსახურება, მიუხედავად მკურნალობისა, დაავადება პროგრესირებს ხშირი, ხანგრძლივი გამწვავებებით“. ამავე დაწესებულების მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს გაცემულ N143 ცნობაში აღნიშნულია, რომ პაციენტი საჭიროებს უწყვეტ კომპლექსურ მკურნალობას.

პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, პაციენტს ჩატარებული აქვს რევმატოლოგიის ერთი კონსულტაცია (2023 წლის 14 დეკემბერს).

სახალხო დამცველის აპარატის ექიმის პოზიცია და რეკომენდაცია

პაციენტი აღნიშნავს ტკივილს და მოძრაობის შეზღუდვას სხვადასხვა სახსარში, უპირატესად მენჯ-ბარძაყის, მუხლისა და კოჭ-წვივის მიდამოში, მოძრაობის შეზღუდვას, უჭირს გადაადგილება. ავად არის 2004 წლიდან, დადგენილი აქვს ფსორიაზის დიაგნოზი. მისი გადმოცემით, დანიშნული მკურნალობა არ არის ეფექტური, ბოლო პერიოდში ტკივილის გაძლიერებას პაციენტი უკავშირებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების აღკვეთის სინდრომს და მეთადონის დეტოქსიკაციის პროგრამის დასრულებას.

პაციენტის ჩვილებს, ანამნეზისა და სამედიცინო დოკუმენტაციაში აღწერილი ობიექტური მდგომარეობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია:

² სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 20 ნოემბრის N822830/01, 1 დეკემბრის N335423/01, 2024 წლის 18 იანვრის N15772/01, 3 თებერვლის N31737/01, 27 თებერვლის N57738/01 წერილები.

ქრონიკული ალგიური (ტკვილის) კომპონენტის არსებობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს არა ფსიქოაქტიური ნივთიერებების აღკვეთის სინდრომით (როგორც ამაზე მიუთითებს პაციენტი), არამედ, წლების განმავლობაში მძიმედ მიმდინარე ფსორიაზით და მისი გართულებებით.

მიუხედავად ფსორიაზისა და მისი გართულებების მძიმე მიმდინარეობისა, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში პაციენტი რევმატოლოგის მიერ კონსულტირებულია მხოლოდ 2023 წლის 14 დეკემბერს, რის შემდეგაც პაციენტს ჩაუტარდა რევმატოლოგის მიერ რეკომენდებული გამოკვლევები.

პაციენტი საჭიროებს ფსორიაზისა და მისი გართულებების ხანგრძლივ, კომპლექსურ მკურნალობას, რისთვისაც აუცილებელია სამკურნალო პროცესში რევმატოლოგის აქტიური ჩართულობა.

გამოხატული ქრონიკული ტკვილის სინდრომის სამკურნალოდ საჭიროა ტკვილის მართვის სპეციალისტის, ნევროლოგისა და ნარკოლოგის კონსულტაცია.

სამართლებრივი დასაბუთება

პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკით, კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს თითოეული დაპატიმრებული ამყოფოს ისეთ პირობებში, რომელიც არ ლახავს მათ ადამიანურ ღირსებას. ამასთან, სასჯელის აღსრულების მეთოდები არ უნდა აყენებდეს დაპატიმრებულს ტკვილს ან ტანჯვას ისეთი ინტენსივობით, რომელიც აღემატება პატიმრობისთვის დამახასიათებელი ტანჯვის დონეს და პატიმრის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. აღნიშნული ასევე გულისხმობს პატიმართათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევას. საქმეში „კინანი გაერთიანებული სამეფოს

³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, პარა. 40.2.

⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Bujak v. Poland, 2017, 686/12, § 68.

წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულება. სათანადო სამედიცინო მომსახურების გაუწევლობა კი გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების „ადეკვატურობა“ რჩება რთულად დასადგენ ელემენტად. ამასთან, გარკვეული სამედიცინო მომსახურების გაწევა და მკურნალობის დანიშვნა ავტომატურად ვერ მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური.⁵ საკითხის შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს ტესტით - გამოიჩინა თუ არა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პაციენტის განკურნების ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომით და არა დამდგარი შედეგით.⁶ ასევე, სასამართლო მიუთითებს, რომ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები.⁷

სამედიცინო დახმარების ადეკვატურობის განსასაზღვრად სასამართლო გულისხმიერების ტესტს იყენებს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პირის ჯანმრთელობა გაუარესდა, არ არის საკმარისი უფლების დარღვევის დასადასტურებლად. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას გამოიწვევს ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც რელიევანტურმა შიდაეროვნულმა უწყებებმა დროულად და ამომწურავად არ გადადგეს ყველა გონივრული შესაძლო ნაბიჯი და არ გამოიყენეს ყველა კეთილსინდისიერი სამედიცინო გზა პაციენტის განსაკურნად.⁸

ეროვნული კანონმდებლობა ასევე ეფუძნება ეკვივალენტურობის პრინციპს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამედიცინო პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს მკურნალობის, მოვლის და რეაბილიტაციის იმავე სტანდარტს, რომელიც ხელმისაწვდომია სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში.⁹ ამასთან პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების აღნიშნული სტანდარტები ამოცანად ისახავს პაციენტთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას.¹⁰

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგული პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი

⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Hummatov v. Azerbaijan, 2007, 9852/03, § 116.

⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 2011, 47729/08, § 71.

⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Holomiov v. Moldova, 2006, 30649/05, § 117.

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 2011, 47729/08, § 71.

⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის N381 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, დანართი NI, მუხ. 3, პუნქტ. „ბ“.

¹⁰ იქვე, მუხ. 2, ნაწ. 2, ქვეპუნქტ. „ა“.

სამედიცინო მომსახურება. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.¹¹

დასკვნა

მოცემულ საქმეზე მოპოვებული სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მიგვაჩნია, რომ მსჯავრდებული [REDACTED] საჭიროებს დამატებით და დროულ სამედიცინო მომსახურებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით:


ფსორიაზის, მისი გართულებებისა და ქრონიკული ტკივილის სინდრომის მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმვის მიზნით, [REDACTED] მკურნალობის პროცესში აქტიურად ჩაერთოს რევმატოლოგი; ჩატარდეს ტკივილის მართვის სპეციალისტის, ნევროლოგისა და ნარკოლოგის კონსულტაცია.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი



¹¹ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 46.